

# ხათუსილი I

წყაროები, რომლებიც გვიდასტურებენ ხათუსილი I-ის არსებობას:

- ხათუსილი I/ლაბარნა II-ს საბეჭდავი;
- ჯვრის ფორმის საბეჭდავი, რომლის ზედწერლში ჩამოთვლილია სამეფო დინასტიის წარმომადგენლები;
- (CTH 4) KBo 10.1 (აქად.); KBo 10.2, ასლი: KUB 23.31, IBoT 3.134 (+)KUB 23.41, VBoT 13+KUB 47.48, KUB 40 6+KUB 23.33 (+?) 23.20 და KBo 10.3 (ხეთ.) - „ხათუსილი I-ის ანალები“, აქადური და ხეთური ვარიანტები, სადაც მოთხრობილია ამ მეფის მმართველობის პირველი წლების სამხედრო ოპერაციების შესახებ;
- (CTH 6) KUB 1.16+KUB 40.65: ხათუსილი I-ის „პოლიტიკური ანდერძი“, აქადურ-ხეთური ბილინგვა;
- (CTH 5) KBo 3.27: ხათუსილი I-ის „ბრძანება“;
- ხათუსილი I-ის წერილი თუნიფ-თეშუბს, ქვეშევრდომი სამეფოს თიკუნანის (ზემო მესოპოტამია) მმართველს, ქ. ხახუზე (ეფრატის ზემო დინება) გალაშქრებასთან დაკავშირებით;
- (CTH 11) KBo 3.57; KUB 26.72: „კრებული ფირფიტა“, სადაც ნახსენებია ხათუსილი I-ის, მურსილი I-ისა და ხანთილი (I?)-ის სამხედრო მოქმედებანი;
- (CTH 19) KUB 3.85, ასლი (აქად.): KBo 3.1 + KBo 12.5 + KBo 3.68 + KBo 12.7 ასლი (ხეთ.): თელეფინუს „ბრძანება“, რომელიც მხოლოდ გვიანდელი ხანიდანაა ცნობილი. აღწერილია ხათუსილი I-ის სამხედრო წარმატებანი (Kol. I 13-23);
- (CTH 75) KBo 1.6, KUB 3.6,5; KBo 28.120: მუვათალი II-ს ხელშეკრულება ალეპოს მმართველ თალმი-შარუმასთან (აქად.). ტექსტის ისტორიულ შესავალში ნახსენებია ხათუსილი I-ის წარმატებანი ჩრდილოეთ სირიაში და მურსილი I ხათუსილი I-ის შვილიშვილადაა მოხსენიებული;
- (CTH 81) KUB 1.1+ ხათუსილი III-ს მიერ შედგენილ ხეთ მეფეთა გენეალოგიურ ნუსხაში მოხსენიებულია ხათუსილი I;
- (CTH 89) KUB 21.29 და მისი ასლი: ხათუსილი III-ს ბრძანებულება ქასქებთან ქ. თილიურას მაცხოვრებლების ურთიერთობის შესახებ. მეფე იხსენებს ლაბარნას (და) ხათუსილის, რომლებიც მტერს მდ. ქუმესმახაზე არ უშვებდნენ;
- (CTH 661) KBo 13.43: სამეფო სახლის გარდაცვლილ პირთა სია, სადაც მოხსენიებულია ხათუსილი I; (CHT 627) KBo 11.36: ხათუსილი I-ის შესაწირავთა ჩამონათვალი;
- (CTH 660) KBo 2.30 I 12; KBo 2.29 III? 10; KUB 10.11 III 27 და IV 21: ANTAḪŠUM-დღესასწაული: მოხსენიებულია ხათუსილი I;

ტექსტი:

წინა მხარე I. (1-8) დიდი მეფე, თაბარნა (მბრძანებელი), ხათუსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, ქუსარელი, თავანანას ძმისშვილი, მეფობდა ხათის ქვეყანაში. ქ. სანახვითაში გასწია მან, (მაგრამ) იგი არ გაუნადგურებია, მისი შემოგარენი გაანადგურა. ლაშქარი ორ ადგილას დავაბანაკე და რაც (იქ) ბაგები იყო, ლაშქარს ბანაკად ვუბოძე.

(9-11) შემდეგ ქ. ცალფასკენ გავეწიე და გავანადგურე იგი. მისი ღვთაებანი (ქანდაკებანი) ავიღე (ხელთ ვიგდე) და სამი მადნანუ-ეტილი ქ. არინას ღვთაებას მივუტანე.

(12-14) ერთი ვერცხლის ხარი, ერთი ოქროს მუშტი ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ხოლო დარჩენილ ღვთაებათა (ქანდაკებანი) ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

(15-21) შემდეგ წელს ქ. ალალხაში გავეწიე და გავანადგურე. ამის შემდგომ ქ. ვარსუვაში გავეწიე, ქ. ვარსუვადან კი, ქ. იქაქალიში გავეწიე, ქ. იქაქალიდან კი- ქ. თასხინიაში წავედი და ეს ქვეყნები გავანადგურე, მათი დოვლათი ავიღე და ჩემი სახლი (ამ) დოვლათით გავავსე.

(22-32) ხოლო შემდეგ წელს ქ. არცავაში გავეშურე და მას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წავართვი. მაგრამ (ამ დროს) ზურგიდან ქ. ხურის მტერი ქვეყანაში შემომეჭრა და ყველა (ჩემი) ქვეყანა შემებრძოლა. მხოლოდ ქ. ხათუსა, ერთადერთი ქალაქი დამრჩა. (მე), დიდი მეფე, თაბარნა, ქ. არინას მზის ღვთაების რჩეული, (ღვთაებამ ხელში ამიყვანა), ბრძოლაში წინ წამიძღვა და მე ქ. ნინასას წინააღმდეგ საბრძოლველად გავეწიე. ხოლო როდესაც ნინასელებმა წინ (მომავალი) დამინახეს, (ქალაქის კარიბჭე) გააღეს.

(33-45) ხოლო შემდეგ ქ. ულმასკენ გავეწიე საბრძოლველად. უღმელებმა საბრძოლველად მისული ორჯერ დამინახეს. ისინი ორჯერ დავამარცხე და ულმას ქვეყანა გავანადგურე, მის ადგილას კი ჭინჭარი დავთესე. შვიდი ღვთაება ქ. არინას მზის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ერთი ვერცხლის ხარი-არახაფილანის მთის ქალღვთაება ქათითის (მივუყვანე), დანარჩენი ღვთაებანი კი ღვთაება მეცულას ტაძარში მივიყვანე. ხოლო როდესაც ულმას ქვეყნიდან დავბრუნდი და ქ. სალახსუვასკენ გავეწიე, სალახსუვას ქვეყანა გადამწვარიყო (გადამწვარი დამხვდა). ხოლო (მაშინ) მისი (მოსახლეობა) მსახურად დამიდგა. შემდეგ ქ. ხათუსაში, ჩემს ქალაქში დავბრუნდი.

(46-52) ხოლო შემდეგ წელს ქ. სანახვითაში საბრძოლველად წავედი და ქ. სანახვითას 5 თვე ვებრძოდი და იგი მე-6 თვეს დავამარცხე და მე, მეფემ სული დავიმშვიდე. ხოლო რაც შეეხება ქვეყნებს, ისინი მზის ღვთაებას უკან დაუბრუნდა (და) ეს საგმირო საქმე, რომელიც (ჩავიდინე), ქ. არინას მზის ღვთაებას ვუძღვენი.

(53-უკანა მხარე II 5) ქ. აფაიას საბრძოლო ეტლები დავამარცხე და ქ. თაქსანიას წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე. შემდეგ ქ. ფარმანაში შევედი. ხოლო ფარმანა მთავარი იყო სამეფოებს შორის (მეფის თავთა შორის) და იგი გზას უკვალავდა (მათი წინამძღოლი იყო).

(6-10) და როდესაც მათ დამინახეს, ქალაქის კარიბჭე კვლავ გააღეს. ზეცის სიტყვით მზის ღვთაებამ ხელი ასწია და (რადგან) ალხას ქვეყანა მმტრობდა, ქ. ალხა გავანადგურე.

(11-23) ხოლო შემდეგ წელს ქ. ცარუნას ქვეყნად წავედი და ქ. ცარუნა გავანადგურე. (შემდეგ) ქ. ხასუვაში გავწიე. ხასუველები ჩემთან საბრძოლველად გამოეშურენ. მათ ზურგს ქ. ხალფას ლაშქარი უმაგრებდა. შემებრძოლენ და დავამარცხე ისინი. რამდენიმე დღეში მდ. ფურუნა გადავლახე და ხასუვას ქვეყანა ლომივით დავტორე. ხოლო როდესაც დავამარცხე, მტვერი შევაყარე, მთელი მათი დოვლათი ხელთ ვიგდე და ქ. ხათუსა გავავსე.

(24-31) ვერცხლსა და ოქროს (არ ჰქონდა ბოლო. მათი ღვთაებანი ხელთ ვიგდე: ამინდის ღვთაება-არმარუქის ბატონი, ამინდის ღვთაება-ხალაფის ბატონი, ალათუმი, ადალური და ლილური, (ორი) ვერცხლის ხარი, სამი ვერცხლისა და ოქროს ქანდაკება. ორი ხამრი-შენობა ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე, (მათი) კარებიც ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე.

(32-40) ერთი ოქროს ტაბლა, სამი ვერცხლის ტაბლა, ... ვერცხლისა, ერთი ოქროს სავარძელი, კარგი ოქროსი, ერთი ოქროს მადნანუ-ეტი, ორი ... მოოქროვილი, (ეს ყველაფერი) ქ. ხასუდან ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე. ღვთაება ალლათის ქალიშვილი, ღვთაება ხეფათი, სამი ვერცხლის ქანდაკება, ორი ოქროს ქანდაკება ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

(41-44) ერთი ვერცხლის შუბი, ... ოქროს კვერთხი, სამი ვერცხლის იარაღი, ლაპისლაზულის ხურფალუ, ოქროს ხურფალუ ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე.

(45-53) ქ. ხასუვა ერთ წელიწადში დავამარცხე. ოქროს ირემი, და თავანაგა, მისი ვაჟი, (ქალაქიდან) გავაგდე. მე, დიდმა მეფემ, მას თავი მოვკვეთე და ქ. ციფასნისაკენ გავეშურე. ქ. ციფასნა ღამით დავიპყარი. შემდეგ გამოვედი (ქალაქიდან) და მათთან ბრძოლა დავიწყე, (ლაშქარს) მტვერი შევაყარე და იმ ქვეყნებში მზის ღვთაება შევიდა.

(54) მე, დიდმა მეფემ, გავწიე ქ. ციფასნასკენ.

(უკანა მხარე III 1-5) ხოლო ქ. ხახა ლომივით (გაშმაგებულმა) ძირს დავანარცხე. ქ. ციფასნა გავანადგურე, მისი ღვთაებანი ხელთ ვიგდე და ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე.

(6-12) შემდეგ ქ. ხახაში გავეშურე, მის კარიბჭეს სამგზის შევუტიე და გავანადგურე. მისი დოვლათი წამოვიდე და ქ. ხათუსაში ჩემი სასახლე გავავსე. ორი ურემი ვერცხლით იყო სავსე.

(13-24) ერთი მადნანუ-ეტი, ერთი ვერცხლის ირემი, ერთი ოქროს ტაბლა, ერთი ვერცხლის ტაბლა, ხახას ღვთაებანი, ერთი ვერცხლის ხარი, ერთი მოოქროვილი გემი მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, ხელთ ვიგდე. მათ მონა-ქალებს ხელები დოვლათის ქვიდან ავადებინე და ისინი სახანისა და ლუცის (გადასახადებისაგან) გავათავისუფლე. გავუხსენი ჯაჭვები და ისინი ქ. არინას ქალღვთაებას, ჩემს ქალბატონს დავუბრუნე. მაშინ ოქროსგან ჩემი ქანდაკება ჩამოვასხმევეინე და ჩემი ქალბატონის, ქ. არინას ღვთაების ახლოს დავადგმევეინე, ხოლო გაღავანი მთლიანად ვერცხლით მოვავარაყებინე.

(25-28) ერთი საბრძოლო ვერცხლის ეტლი ქ. თიმანას მეფემ, მე, დიდ მეფეს (მომართვა) და იგი ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე.

(29-36) მდ. მალა (ევფრატი) ჯერ არავის გადაულახავს და მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ ფეხით გადავლახე იგი. ჩემს შემდგომ, ჩემმა ლაშქარმაც ფეხით გადალახა. იგი სარგონმა გადალახა, მან დაამარცხა ქ. ხახას ლაშქარი, მაგრამ მისთვის ხელი არ უხლია, არ გადაუწვავს, კვამლი არ უჩვენებია(?) ამინდის ღვთაებისათვის.

(37-42) (მე) დიდმა მეფემ, თაბარნამ, ქ. ხასუვა (და) ქ. ხახა გავანადგურე და ცეცხლს მივეცი. ამინდის ღვთაებას კვამლი ვაჩვენე და ქ. ხასუსა და ქ. ხახას მეფენი ეტლზე მოვიბი.

(უკანა მხარე IV) (კოლოფონი) ხათუსილის საქმენი საგმირონი“.

# მურსილი I

წყაროები, რომლებიც გვიდასტურებენ მურსილი I-ის არსებობას:

- მურსილი I-ის საბეჭდავი, რომლითაც, სავარაუდებელია, მიწის ჩუქების დოკუმენტი იყო დაბეჭდილი;
- ჯვრის ფორმის საბეჭდავი, მურსილი I-ი მოხსენიება, როგორც სამეფო წინაპარი;
- (CTH 5) KBo 3.27, ხათუსილი I-ის ბრძანება, რომელიც მურსილის ტახტის მემკვიდრედ დასახელებას შეეხება;
- (CTH 6) KUB 1.16+KUB 40.65, ხათუსილი I-ის „პოლიტიკური ანდერძი“, აქადურ-ხეთური ბილინგვა;
- (CTH 13) KBo 3.46+KUB 26.75, ასლი KBo 3.53 + KBo 19.90(+)+KBo 3.54, ანალისტური ცნობები ხურიტებთან წარმოებული ბრძოლების შესახებ;
- (CTH 11) KBo 3.57 და ასლი KUB 26.72: „კრებული ფირფიტა“, სადაც მოხსენიებულია ხათუსილი I-ისა და მურსილი I-ის სამხედრო საქმიანობანი; ხანთილი I/II?-ს სააღმშენებლო მოღვაწეობა;
- (CTH 19) KUB 3.85 და ასლი (აქად.), KBo 3.1+KBo 12.5+KBo 3.68+KBo 12.7 და ასლი (ხეთ.): „თელიფინუს ბრძანება“, სადაც ნახსენებია ხალაბისა (ალეპოს) და ბაბილონის დაპყრობა (Kol. I 24-30), აგრეთვე სიძის, ხანთილი (I)-ის მიერ მურსილი I-ის მოკვლა;
- (CTH 10.2) KBo 3.45 და ასლი KBo 22.7, ტექსტი, სადაც უარყოფითად ფასდება ბაბილონის დაპყრობა, მოხსენიებულია მურსილი;
- (BM 96152) ბაბილონური ქრონიკები, სადაც აღნიშნულია მურსილი I-ის დროინდელი ლაშქრობის შესახებ ბაბილონის წინააღმდეგ;
- (CTH 75) KBo 1.6 და ასლი KUB 3.5,6, პარალელური ტექსტი o 28.120, მუვათალი II-ს ხელშეკრულება ხალაბელ (ალეპოელ) თალმი-შარუმასთან (აქად.). ისტორიულ წინათქმაში ნახსენებია ხათი-ხალაბის/ალეპოს ურთიერთობა მურსილი I-ის დროს, რომელიც ხათუსილი I-ის შვილიშვილად მოიხსენიება;
- (CTH 376) KUB 24.3 + 544/u + KUB 31.144 და ასლი, მურსილი II-ს ლოცვა ქ. არინას მზის ღვთაებას; მოხსენიებულია მურსილი I-ის მიერ ხალაბისა და ბაბილონის დაპყრობა;
- (CTH 661) KUB 36.120 წინა მხარე? 4 და შმდგ., KUB 11.4, 6, KBo 13.43, 5', მურსილი I-ისა და მისი მეუღლის ქაალის მოხსენიება ხეთური სამეფო სახლის მიცვალებულთა სიაში;

## ტექსტი:

წინა მხარე (1-3) ...ქვემოთკენ ... უნდა წავიდეს საბრძოლველად! ... ჩვენი (სამართალი) უნდა გადაწყვიტოს!

---

(4-13) მრავლად... [მას] გვერდში დაგუდებები! ... ღვთაებანი წინ ... მისი [ლაშქარი] და საბრძოლო ეტლები და[ვამარცხე?]. [და იგი წავიდა. ქ. ფურუსხანდას [შეაფარა თავი]. ...ქ. ფურუსხანდა... [ქ. ფურუს]ხანდა გაეანგრიე. ფურუსხანდელი [კაცი] ხათუსაში [მოვიყვანე]. ხოლო (მე), მეფემ, მისი მეუღლე და შვილები (ასე დაეწყევლე) ...? ვაშლს თქვენი კბილები [მოელხოს ...], მე ცხიმი თიხაში ამერიოს!“

---

(14-34) [...] იგი [ხა]თის ქვეყნად მოვიდა. ხოლო მეორე წელს [და] იგი [ქვეყნის] შუაში? (და) ხათრას ქვეყანაში. ხათრას ქვეყნის [ქალაქები: ... ქალაქი ...], და [ქ. სუქცია ხურიტების მხარეს გადავიდნენ. [ხოლო ისინი, რომლებიც ...]... იყვნენ, ხელთ იგდეს. [...]მათ. ხოლო ის ხურიტები, [ ]. მოვიდა იგი. ხურუმას ქალაქიდან [...] იგი. [...] ხურიტებს ქალაქ ლახუცანთიაში [...] და დაამარცხა იგი. ქალაქი ხურუმა ... [...] მან ადრე დათესა. ხურიტების [...] ქალაქი ...დაიკავეს მათ და მოსავალი, პური, ღვინო [წა]ართვეს. ღვთაებები (მაინც) იცავდნენ ქ. ხურუმას [და მას არაფერი დაუშავეს. ხურიტებს კი ჭირი შეჰყარეს, [ასე] დაიწყო მან დაღუპვა (განადგურება?). ნიფა, ლაშქრის მეთაური (ამასობაში) გარდაიცვალა.

---

(35-41) [მან(=ხურიტთა მეფემ?) ქვემოთ წამოიყვანა [ლაშქარი? ქ. ხურმადან და იგი (=ლაშქარი) [გაეშურა?] ქ. სუქციასკენ. ქ. სუქციაში მათ გამოიზამთრეს, მაგრამ თანდათან იხოცებოდნენ. ქარავანი, ფარაიუნა და [(აიუქთერაია)], ლაშქრის მეთაურები (ამასობაში) დაიხოცნენ. ხოლო ქ. ლაქურისაში 2000 მომთაბარე მებრძოლმა და მონამ თავი გაითავისუფლა. იმის შემდეგ, რაც ? მე, მეფემ (ისინი) გავაერთიანე, [მე] ისინი (ჩემს) ლაშქარს დაეუქვემდებარე. იგი (=ლაშქარი) ჯგუფებად დაიყო და ასე იქცა იგი მის (=ქალაქის) ძალად.

---

(42-48) [ქ. სუქციადან?] შემოიჭრა (=ხურიტების ლაშქარი) და გასწია არცავიას ქვეყნისაკენ. [...] (ქალაქები, კერძოდ: ..., ...ვანხურა, მინია, [...]ისთა და ფარამანცანა [ხურიტების მხარეს გადავიდნენ?] ხოლო [ხურიტელმა(?) გასწია ქ. ულამასკენ. [...] მან, და მას (=ქალაქს) არაფერი [არ უქნეს?] და (ხურიტელმა) დაიწყო [დაღუპვა. ...], ლაშქ[რის] წინამძღოლი (ამასობაში) გარდაიცვალა.

---

(49-56) [...] (ქალაქები, კერძოდ: ..., ...)ა, ქასარა, დუმანდა, [...], ...ცია, [...] ...ინცალუხა, ლუ?[...]ცუვა, სახ[უ...], [...]უსთა, ივასა [...], ხარსანხილა, [...] და [...]...ნა ხურიტების მხარეს გადავიდნენ და მას ... [მან (= ხურიტების ლაშქრის მეფემ?) წაიყვანა (ლაშქარი) ქ. არცა[ვ]იასკენ. მაგრამ მას {ღვთაება} აქნი (სიკვდილით) დაემუქრა, და ...]რუვა, ხურიტების ლაშქრის მეფე გარდაიცვალა. [...] ... 3000 მომთაბარე მეომარი [...] ... [...] იგი (=ლაშქარი) დაიყო ჯგუფებად და ასე იქცა იგი მის (=ქალაქის?) ძალად [...].

---

შუაანა მხარე (1-15) [ქ. არცავიადან?] გამოეშურა იგი (=ხურიტული ლაშქარი) [ხემოთკენ?] და [გასწია?] ხათუსას [ქვეყნისაკენ]. [...]...[...? ყველა?

[მა]მა მეფისა...და]შორდა. [... მოიყვანეს აქ. [ ? (ქალაქები, კერძოდა) ..., ...] ...ია, [...] ქარსანცია, [ და... ხურიტების] მხარეს გადა[ვი]დნენ. [...] მოიყვანეს ქ. ანქუვაში.

---

(16-21) [...]... მისი აჩქარება [...] მოხუცი ბრძენი კაცები (და) ქალები [...]. ისინი მივიდნენ ხურიტებთან, [...]. ისინი მივიდნენ [...]... მოპირდაპირე მხარეს, [...]... მეფის ცხენშებმული ეტლები ...

---

(22-37) [...]ობა, მე ...[...]. აიღეს მათ. [სი]ჩუმ[ე ..] მან? [...] ა[რ...?] ] აი[ღეს? მათ?]. ... [...] იყვნენ. [...]. ქ. ანქუვაში [მოიყვანეს? ] მაცნ[ე]. [მი]დის იგი. ქ. თა[...]. იქნებოდა...? [დ]ა? ქვეყანაში გამოი[ზამთრა მან] აგრეთვე? გა]დავწვი? და ჩვენ ...[...]. ქ. ანქუვას ხალხი, კაცი [ქ. ...-დან?] [ხური]ტები და ქ. თა[რუქას?] ლაშქარი. ...[გა]აღეს მათ, მტერი ქ[ვემო]თ? [ გაანად]გურა მან.

---

(38-41) [...] იგი, ათი დღის განმავლობაში იბრძოდა. [ვა]ჟკაც]ობა? დაამტკიცეს მათ. [...] ცხენშებმული [ეტ]ლი [...]... თავიანთი [...]ც გაანადგურეს მათ.

---

(42-49) [...] ქ. სანახვითა [...] ... იგი ქ. ხაქმისაში წავიდა. [ქალაქები... ხ]ა? (და) ხათენა გაექცა (მას). [..., ...?] ჩვენ [ჯერ კიდევ ვ]ცოცხლობთ!... ქ. სანახვითა [...]. მტრის (წინააღმდეგ) იბრძოდა იგი. [ ვა]ჟკაც]ობა? დაამტკიცეს მათ...

---

(50-53) [ ]... ქ. [...]ის ხალხს [...] ო[დესლ]აც? ქალღვთაება ლე[ლვანი? ...?] [...] ,,...] თქვენ?“ [...]...